სსიპ. ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის

დირექტორს ქ-ნ მარინა ისკაკოვას

ამავე სკოლის XIIბ კლასის ხელმძღვანელ

მაკა ჯანელიძის სადამრიგებლო კლასში

გაწეული სამუშაოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ 2022-2023 სასწავლო წლის I სემესტრის დასასრულს მოსწავლეთა რაოდენობა მე-12ბ კლასში არის 21. 13 ვაჟი და 8 გოგონა. აქედან ორი ათოსანი: გვანცა ჩუბინიძე და ანა ხუსკივაძე.

სექტემბრის თვეში, გავანაწილე სახელმძღვანელოები და მქონდა სადამრიგებლო კლასის მშობლებთან შეხვედრა. მოსწავლეებს გავაცანი სკოლის შინაგანაწესი და მშობლებთან გავაფორმე ხელშეკრულებები. მუდმივი კონტაქტი მქონდა სადამრიგებლო კლასის თითოეულ მოსწავლესთან და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან. მათ ვაცნობდი გაკვეთილებზე დასწრების წესების შესახებ ზუსტ ინფორმაციას. მოსწავლეებთან მუდმივად მქონდა ერთობლივი თუ ინდივიდუალური საუბრები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ვატარებდი სადამრიგებლო საათებს.

ნოემბრის თვეში XIIბ კლასის მოსწავლე ლევან მორალიშვილმა მონაწილეობა მიიღო აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონკურსში „ვკითხულობ გალაკტიონს“.

ქ. ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა ქართული ენის მოყვარულთა კალიგრაფიის საქალაქო კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო XIIბ კლასის მოსწავლე დიმიტრიოს ლეთოდიანმა და დაიკავა პირველი ადგილი.

დეკემბრის თვეში XII ბ კლასის მოსწავლე ლევან მორალიშვილი მონაწილეობდა სკოლის თეატრალური დასის სპექტაკლში, რომელიც დაიდგა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით ,,იავნანამ რა ჰქმნა?!, სპექტაკლმა ქუთაისის სასკოლო-თეატრალურ ფესტივალზე ,,N - ოვაცია 2023“ ექვს ნომინაციაში დაიმსახურა პრიზები და დიპლომები.

თვეში XII ბ კლასის გოგონებმა მონაწილეობა მიიღეს სკოლის საახალწლოდ მორთვის აქტივობაში. მათ გუაშის საღებვებით, საახალწლო თემატიკის მიხედვით, მოხატეს სკოლის ფანჯრები.

XIIბ კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სკოლაში გამართულ „მელომანის“ კონკურსში.

პატივისცემით